



საქმე №1/ბ-47-13

გ ა ნ ა ჩ ე ნ ი
საქართველოს სახელით

29 მარტი, 2013 წელი

თბილისი

**თბილისის სააპელაციო სასამართლოს
სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ
შემდეგი შემადგენლობით:
თავმჯდომარე: კახაბერ მაჭავარიანი
მოსამართლეები: გერონტი კახეთელიძე
მაია ივანიძე**

ეკა კოკილაშვილის მდივნობით,

პროკურორის: თ.ზ.-ს
ადვოკატის: გ.ფ.-ს
მსჯავრდებულის: გ.კ.-ს

მონაწილეობით,

მსჯავრდებულ გ.კ.-ს სააპელაციო საჩივრის საფუძველზე განიხილა სისხლის სამართლის საქმე გ.კ.-ს მიმართ, დაბადებულის XXXX წლის X ივლისს ქ. გ.-ში, რეგისტრირებული და ფაქტობრივად მცხოვრები მისამართზე გ.-ს რაიონის სოფელი ვ., პირადი ნომერი: XXXXXXXXXXXX, ნასამართლობის არმქონის, დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით.

აღწერ ი ლ ო ბ ი თ-ს ა მ ო ტ ი ვ ა ც ი ო ნ ა წ ი ლ ი :

გურჯაანის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 25 დეკემბრის განაჩენით გ.კ. ცნობილი იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის ზომად განესაზღვრა: საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი ნაწილით ჯარიმა 2 000 (ორი ათასი) ლარის ოდენობით, სსკ-ის 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით, თავისუფლების აღკვეთა 3 (სამი) წლის ვადით, რაც ამავე კოდექსის 88-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად შემცირდა 1/4-ით და მოსახდელად დარჩა 2 (ორი) წელი და 3 (სამი) თვე, დამატებითი სასჯელის სახედ - ჯარიმა 2 000 (ორი ათასი) ლარის ოდენობით, საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით თავისუფლების აღკვეთა 9 (ცხრა) წლისა და 8 (რვა) თვის ვადით, რაც ამავე კოდექსის 88-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად შემცირდა 2/3-ით და მოსახდელად დარჩა 7 (შვიდი) წელი და 3 (სამი) თვე,

დამატებითი სასჯელის სახედ და ზომად - ჯარიმა 4 000 (ოთხი ათასი) ლარის ოდენობით. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის 1^ა ნაწილის საფუძველზე, დანიშნული სასჯელები შეიკრიბა და გ.კ.-ს საბოლოოდ სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 8 (რვა) წლისა და 9 (ცხრა) თვის ვადით, ასევე ჯარიმა 2 000 (ორი ათასი) ლარის ოდენობით, დამატებითი სასჯელის სახედ - ჯარიმა 6 000 (ექვსი ათასი) ლარის ოდენობით.

გ.კ.-ს მსჯავრი დაედო მასში, რომ ჩაიდინა ყაჩაღობა, ესე იგი თავდასხმა სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, სიცოცხლისათვის და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით და ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით, ჩადენილი ჯგუფურად, ბინაში უკანონო შეღწევით; მანვე დაუდგენელ დროსა და ვითარებაში მართლსაწინააღმდეგოდ შეიძინა კულტარული წესით დამზადებული, უნომრო 5,6 მმ კალიბრის რევოლვერი და 5 ცალი 5,6 მმ კალიბრის წრიული აალების ვაზნა, რასაც მართლსაწინააღმდეგოდ ინახავდა გ.-ს რაიონის სოფელ ვ.-ში, თავის საცხოვრებელ სახლში.

მსჯავრდებულის დანაშაულებრივი ქმედება გამოიხატა შემდეგში:

2012 წლის 11 მაისს, გ.კ. დანაშაულებრივად დაუკავშირდა დაუდგენელ პირს, რათა გ.-ს რაიონის სოფელ ვ.-ში, საცხოვრებელ ბინაში თავს დასხმოდნენ მ.თ.-სა და მისი ოჯახის წევრებს. ამ მიზნით, 2012 წლის 12 მაისს, დაახლოებით 03⁰⁰ საათზე, კულტარული წესით დამზადებული, უნომრო 5,6 მმ კალიბრის რევოლვერით და 5 ცალი 5,6 მმ კალიბრის წრიული აალების ვაზნით შეიარაღებულმა გ.კ.-მ დაუდგენელ პირთან ერთად უკანონოდ შეაღწია მ.თ.-ს საცხოვრებელ ბინაში და თავს დაესხა მას და მის მეუღლეს გ.თ.-ს. გ.კ.-მ და დაუდგენელმა პირმა ხელები შეუკრეს აღნიშნულ პირებს და სიცოცხლისათვის და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით და ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით ითხოვდნენ ნარკოტიკულ საშუალებას და წნევის საზომი აპარატის მათთვის გადაცემას, რა დროსაც მათ აყენებდნენ ფიზიკურ შეურაცხყოფას და ემუქრებოდნენ სიცოცხლის მოსპობით. თავდამსხმელებმა, დარწმუნდნენ რა, რომ დაზარალებულს მათ მიერ მოთხოვნილი ნივთები არ ჰქონდა, გაიტაცეს ოჯახის კუთვნილი თიხის სუვენირი და შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ.

პირველი ინსტანციის სასამართლო განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა, რომელმაც სააპელაციო წესით საქმის განხილვისას დააზუსტა თავის მოთხოვნა და ითხოვა მასში ცვლილების შეტანა, კერძოდ სსკ-ის 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და სსკ-ის 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით მსჯავრდების ნაწილში გამართლება, ხოლო სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი ნაწილით მსჯავრდების ნაწილში განაჩენის უცვლელად დატოვება.

სააპელაციო პალატამ განიხილა რა აღნიშნული სისხლის სამართლის საქმე, შეამოწმა სააპელაციო საჩივრის საფუძვლიანობა, შეაფასა საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებები და მიიჩნევს, რომ მსჯავრდებულის სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სისხლის სამართლის საქმის მასალებით დასტურდება, რომ გურჯაანის რაიონული სამმართველოს პოლიციაში შეტყობინება მომხდარი დანაშაული შესახებ შესულია 2012 წლის 12 მაისს 04⁰² საათზე, რომელიც შესაბამისი ღონისძიებების გასატარებლად დაეწერა იმავე სამმართველოს დეტექტივ-გამომძიებელს ვ.რ.-ს. შეტყობინებაზე რეზოლუცია შესრულებულია 11⁰⁴ საათზე. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით შემთხვევის ადგილზე გავიდა პოლიციელების ოპერატიული ჯგუფი, სადაც შედიოდნენ ექსპერტებიც. შემთხვევის ადგილზე გაყვანილი ძაღლის მიერ აღებულმა სუნის კვალმა ოპერატიული ჯგუფი მიიყვანა გ.კ.-ს სახლთან. შემთხვევის ადგილის დათვალიერება, მასში აღწერილი საბოლოოდ შედეგით მიმდინარეობდა 07⁴⁰ საათიდან 08¹⁰ საათამდე. ამის შემდეგ იმავე სამმართველოს პოლიციის ინსპექტორ-გამომძიებლის ჯ.მ.-ს

ინფორმაციული პატაკის საფუძველზე, სადაც მითითებულია, რომ დანაშაული შესაძლებელია ჩადენილი იყოს გ.გ.-ს ძე კ.-ს მიერ და ძარცვის შედეგად წაღებული ნივთები ინახებოდა მასთან სახლში, გამომძიებელმა ვ.რ.-მ გადაუდებელი აუცილებლობით ჩხრეკა ჩაატარა გ.კ.-ს სახლში. ინფორმაციულ პატაკზე რეზოლუცია შესრულებულია 10⁴⁷ საათზე.

პირველი ინსტანციის სასამართლოში მოწმე ვ.რ.-მ უჩვენა, რომ გ.კ.-ს ბინის ჩხრეკა ჩაატარა ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, შემთხვევის ადგილზე იგი არ ყოფილა გასული, ხოლო ჩხრეკის დაწყებამდე იქ სხვა პოლიციელები არ ყოფილან და არც ვინმე დახვედრია. პირველი საგამომძიებო მოქმედება ჩაატარა მან და ექსპერტები არ მონაწილეობდნენ.

პირველი ინსტანციის სასამართლოში მოწმის სახით დაკითხულმა იმავე სამმართველოს პოლიციის ინსპექტორ-გამომძიებელმა მ.ფ.-მ განმარტა, რომ შემთხვევის ადგილის დათვალიერება უშუალოდ მან ჩაატარა ოპერატიულ ჯგუფთან ერთად, სადაც შედიოდნენ ექსპერტებიც. ძაღლმა ისინი მიიყვანა გ.კ.-ს ბინაში, სადაც ის აღარ შესულა.

პალატა ანალიზებს რა აღნიშნულ ჩვენებებს, ხაზს უსვამს მათ შორის არესებულ წინააღმდეგობებს. კერძოდ მაშინ, როდესაც მოწმე ვ.რ. უარყოფს ჩხრეკის დაწყებამდე (ჩხრეკა დაიწყო 11⁰⁰ საათზე) გ.-ს ბინაში სხვა პოლიციელების არსებობას, საპირისპირო დასტურდება მოწმე მ.ფ.-ს ჩვენებით და შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმით. ანუ ჩხრეკის დაწყებამდე რამოდენიმე საათით ადრე ოპერატიულ ჯგუფს სადაც შედიოდა ექსპერტებიც დადგენილი ჰყავდათ დანაშაულის სავარაუდო ჩამდენი პირი და აქედან გამომდინარე „ლოგიკური“ ხდება ინფორმაციული პატაკის შინაარსიც, რის საფუძველზეც გამომძიებელმა ვ.რ.-მ დაიწყო საგამომძიებო მოქმედების ჩატარება. გარდა ამისა, თუ პალატა გაიზიარებს მოწმე ვ.რ.-ს ჩვენებას იმასთან დაკავშირებით, რომ სახლში მისვლისას მას პოლიციელთაგან არავინ არ დახვედრია და იქ დახვდა გ.კ. და მისი მამა, კიდევ უფრო ბუნდოვანი ხდება ის ფაქტობრივი გარემოება თუ რას აკეთებდა ან სად იმყოფებოდა შემთხვევის ადგილის დათვალიერების შედეგის დასრულებიდან ბინის ჩხრეკის დაწყებამდე მსჯავრდებული. ანუ მინიმუმ 09⁰⁰ საათიდან 11¹⁰ საათამდე.

ამასთან ერთად, პალატა ყურადღებას ამახვილებს გ.კ.-ს დაკავების ფაქტთან დაკავშირებით. მსჯავრდებულმა სააპელაციო ინსტანციაში, თავის საბოლოო სიტყვაში აღნიშნა, რომ პოლიციელები მასთან სახლში შევიდნენ 08⁰⁰ საათზე, შეუკრეს ხელები და კითხვაზე თუ სად მიჰყავდათ უპასუხეს, რომ პოლიციის განყოფილებაში, რასაც ადასტურებენ საქმეზე დაკითხული სხვა მოწმეებიც. ანუ მსჯავრდებულს რეალურად თავისუფლად გადაადგილების საშუალება შეეზღუდა პოლიციელების სახლში შესვლისთანავე. დაკავების ოქმში კი დაკავების ფაქტობრივ დროდ მითითებულია 15²⁰ საათი, რაც კანონის არსებითი ხასიათის დარღვევაა. გარდა ამისა, მსჯავრდებულმა მიუთითა, რომ გამომძიებელი რ. მის სახლში პირველივე წუთებიდანვე იმყოფებოდა, რაც კიდევ უფრო წინააღმდეგობრივს ხდის ამ უკანასკნელის სასამართლოსთვის მიცემულ ჩვენებას.

სისხლის სამართლის საქმის მასალების მიხედვით მსჯავრდებულის ბინაში ჩხრეკა ჩატარებულია გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში ჩხრეკის წარმოების შესახებ დადგენილების საფუძველზე. ოქმში მითითებულია, რომ ჩხრეკა მიმდინარეობდა დამსწრეების თანდასწრებით.

სასამართლოში მოწმე გ.კ.-მ, რომელიც ბინის ჩხრეკისას დამსწრედ იყო მოწვეული არ დაადასტურა წინასწარ გამოძიებაში მიცემული ჩვენება და განაცხადა, რომ როდესაც ის შევიდა ბინაში პოლიციელებს უკვე ნაპოვნი ჰქონდათ იარაღი და თიხის სუვენირი. პირველი ინსტანციის სასამართლომ არ დააკმაყოფილა დაცვის მხარის მოთხოვნა იმასთან დაკავშირებით, რომ ჩხრეკა არსებითი დარღვევით იყო ჩატარებული და ჩხრეკის ოქმი, როგორც მტკიცებულება არ უნდა

დადებოდა საფუძვლად გამამტყუნებელ განაჩენს. სასამართლომ განაჩენში აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მიუთითა, რომ გამომძიებელი კონკრეტულ სიტუაციაში მოქმედებდა საქართველოს სსსკ-ის 331-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე, რომლის თანახმადაც გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში ჩხრეკის ან ამოღების დამსწრის გარეშე ჩატარება შესაძლებელია, როდესაც არსებობს მტკიცებულებათა დაზიანების ან გადამალვის რეალური საფრთხე. საფრთხის აღმოფხვრის შემდეგ კი ბრალდებული სარგებლობს დამსწრის მოწვევის უფლებით. პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორად განმარტა სსსკ-ს 331-ე მუხლის შესაბამისი ნაწილი თუმცა პალატა კონკრეტულ შემთხვევაში ყურადღებას ამახვილებს საქმეში არსებულ ჩხრეკის ოქმზე და თვით ჩხრეკის ჩამტარებელი გამომძიებლის სასამართლოსთვის მიცემულ ჩვენებაზე. კერძოდ, მოწმე ვ.რ.-მ უჩვენა, რომ ჩხრეკის დაწყებისას დამსწრეებთან ერთად შევიდა სახლში, განუმარტა მათ უფლებები და შემდეგ დაიწყო ჩხრეკა. ისინი მასთან ერთად აფიქსირებდნენ ჩხრეკის შედეგებს. იგივე შინაარსის ჩვენება მისცა წინასწარ გამომძიებაში გ.კ.-მაც. საქართველოს სსსკ-ის 331-ე მუხლის პირველი ნაწილი განმარტავს ჩხრეკის ან ამოღების დაწყებამდე ბრალდებულისათვის დამსწრის მოწვევის განმარტების სავალდებულო წესს, რისთვისაც მას ეძლევა გონივრული ვადა არანაკლებ 1 საათისა. სწორედ აღნიშნული ნორმის საფუძველზეა შედგენილი ჩხრეკის ოქმი, რაც თავის მხრივ მიუთითებს იმაზე, რომ ჩხრეკა წარმოებდა სსსკ-ის 331-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილის შესაბამისად და არა იმავე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე. გარდა ამისა, ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ მოწმე გ.კ.-მ, არსებითად განსხვავებული ჩვენება მისცა მას შემდეგ, რაც პროკურორის მოთხოვნით იგი დაკითხული იქნა სასამართლოზე მიუხედავად იმისა, რომ იგი იმყოფებოდა სასამართლო დარბაზში და ესწრებოდა პროცესს. რაც შეეხება მეორე დამსწრეს იგი ვერ დაიკითხა სასამართლოში და მისი ჩვენება გამოქვეყნდა.

ამდენად პალატა შეფასებას აძლევს ჩატარებულ საგამომძიებო მოქმედებას და მიჩნევს, რომ იგი არ შეესაბამება საქართველოს სსსკ-ის 331-ე მუხლის მოთხოვნებს, წინააღმდეგობაში მოდის აღნიშნულ ნორმასთან და შესაბამისად ჩხრეკის ოქმი, როგორც მტკიცებულება, საფუძვლად ვერ დაედება გამამტყუნებელ განაჩენს.

სისხლის სამართლის საქმის მასალებით დასტურდება, რომ მსჯავრდებულის ბინის ჩხრეკის შედეგად ამოღებული იქნა კუსტარული წესით დამზადებული „დოლურიანი“ რევოლვერი 5 ვაზნით და დაზარალებულის კუთვნილი თიხის სუვენირი. აღნიშნული ნივთები დაზარალებულმა ამოიღნო. ცეცხლსასროლი იარაღის ამოცნობის ოქმის მიხედვით, დაზარალებულს „დოლურიან“ რევოლვერთან ერთად წარედგინა „ჩხ -ს“ სისტემის შავი ფერის, „იერიხოს“ სისტემის შავი ფერის და „მაკაროვის“ სისტემის მოშავო-მოყავისფრო პისტოლეტები. პირველი ინსტანციის სასამართლომ არ გაიზიარა დაცვის მხარის მოსაზრება ამოცნობის ოქმის დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობასთან დაკავშირებით და მიუთითა, რომ „დაზარალებული დეტალურად ვერ ერკვევა იარაღებში, მისთვის გაურკვეველია, რომელი იარაღია „დოლურიანი“ და რომელი არა“. სასამართლოს მსჯელობა იმასთან დაკავშირებით, რომ დაზარალებულმა იარაღი ამოიღნო რამდენიმე მსგავს საგანთან ერთად, რეალურად წინააღმდეგობაში მოდის ამოცნობის ოქმთან, რადგანც დაზარალებულისათვის წარდგენილი ცეცხლსასროლი იარაღები ფორმითაც და ფერითაც ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავდებოდნენ. ამოსაცნობად წარდგენილი საგნებიდან ერთიც კი არ იყო დაზარალებულის მიერ ამოცნობილი ობიექტის მსგავსი არც ფორმით და არც ფერით. გარდა ამისა, ამოსაცნობად წარდგენილ იარაღებს აქვთ ერთი და იგივე დამახასიაებელი თვისება, ისინი ცეცხლსასროლი იარაღებია, თუმცა განეკუთვნებიან სხვადასხვა კლასის კატეგორიას, „ამოცნობილი“ იარაღი განეკუთვნება რევოლვერის კლასს, ხოლო დანარჩენი პისტოლეტის კლასს.

საქართველოს სსსკ-ის 131-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად ამოსაცნობად წარდგენამდე ამომცნობი დაკითხული უნდა იყოს ამოსაცნობი ობიექტის ინდივიდუალური და გვარობითი ნიშან-თვისებების თაობაზე და იმ გარემოებების შესახებ, რომელშიც მას შეხება ჰქონდა ამოსაცნობ ობიექტთან. პალატა ყურადღებას ამახვილებს ამომცნობის წინ დაზარალებულის განმარტებაზე ამოსაცნობ ობიექტთან დაკავშირებით. ის მიუთითებს, რომ „თავდამსხმელთაგან მალაღს ეჭირა პისტოლეტი, რომელსაც ურტყამდა სახეში და შუბლზე ლულას აჭერდა, რა დროსაც გრძნობდა, რომ იარაღი იყო პატარა და თითის სისხო“. დაზარალებული არ უჩვენებს, რომ იარაღი დაინახა, არამედ მისი მიდებით გაარჩია ფორმა, ზომა და ლულის მოყვანილობაც კი. უფრო მეტიც, სასამართლოში დაკითხვისას მან მიუთითა, რომ თავდასხმის მომენტში არც მის საძინებელ ოთახში, არც აივანზე შუქი არ ენთო და არც სხვა კუთხით შემოდიოდა ოთახში სინათლე.

ამდენად, პალატას მიაჩნია, რომ ამომცნობის დროს, როდესაც თუნდაც მიახლოებით დაცული არ იყო ამოსაცნობ ობიექტებს შორის ინდივიდუალური ან/და მსგავსი ნიშან-თვისებებით განსხვავების პირობა და ეჭვქვეშ დგება ამომცნობი პირის ამოსაცნობ ობიექტთან შემხებლობის ფაქტობრივი გარემოებები, ამომცნობის ოქმი, როგორც მტკიცებულება გამამტყუნებელ განაჩენს საფუძვლად ვერ დაედება.

პირველი ინსტანციის სასამართლოში მოქმე თ.შ.-მ, ჩხრეკის შედეგად ამოღებულ თიხის სუვენირის ამომცნობასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ როდესაც მას შესთავაზეს როგორც დამსწრეს მონაწილეობა მიეღო ამომცნობაში და მიიყვანეს პოლიციის განყოფილებაში, ამოსაცნობი ობიექტი-თიხის სუვენირი- უკვე მაგიდაზე იდო და ქალბატონიც იქ იმყოფებოდა, რომელსაც უკვე სავარაუდოდ ის ამომცნობილი ჰქონდა. სასამართლომ აღნიშნულ გარემოებასთან დაკავშირებით განმარტა, რომ მოქმედი საპროცესო კანონმდებლობა არ ითვალისწინებს ამომცნობის დროს დამსწრის მონაწილეობას და აქედან გამომდინარე არ არსებობდა იმის აუცილებლობა, რომ ამომცნობი ნივთის ამოსაცნობად დამსწრესთან ერთად შეეყვანათ. მართალია საქართველოს სსსკ-ის 131-ე და 135-ე მუხლებში კონკრეტულად მითითებული არ არის აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ იმავე მუხლით განსაზღვრულია პირის ამომცნობის წესი, რომელიც როგორც წესი დაწყებისთანავე ტარდება დამსწრეთა მონაწილეობით. განსხვავება ამ საგამომძიებლო მოქმედებებს შორის მხოლოდ ამოსაცნობი ობიექტებია. პალატა აღნიშნავს, რომ დამსწრის მონაწილეობა ამომცნობის დროს და მითუმეტეს საწყის მომენტში, როგორც ამ ორი საგამომძიებლო, ისე სხვა საგამომძიებლო მოქმედებების დროს ობიექტურ პირს, ან პროცესის მწარმოებელ ორგანოს საშუალებას აძლევს განსაზღვროს თუ რამდენად ობიექტურად და კანონის დაცვით ჩატარდა ესა თუ ის საგამომძიებლო მოქმედება. წინააღმდეგ შემთხვევაში, მოცემულ საქმეზე გამომძიებლისათვის აუცილებლობას არ წარმოაგენდა თუნდაც დაგვიანებით მოეწვია დამსწრე პირი, რადგანაც დაზარალებული ისედაც ამომცნობდა საკუთარ ნივთს. გარდა ამისა, პალატა ყურადღებას ამახვილებს აღნიშნულ თიხის სუვენირთან დაკავშირებულ ფაქტობრივ გარემოებებზე. კერძოდ, პირველის ინსტანციის სასამართლოში დაზარალებულმა განმარტა, რომ „თიხის სუვენირი იყო დაზიანებული, ერთი მხრიდან სამარილე ჰქონდა, მეორე მხრიდან საპილპილე, შუაში კი კბილების საწმენდი ჯოხები ეწყო. ერთ-ერთმა პოლიციელმა შეეკითხა თუ რა იდო ფანჯრის რაფაზე, სადაც მტვრის კვალი იყო დარჩენილი, რაზედაც უპასუხა, რომ თიხის სუვენირი იყო“. ხოლო მოქმე მ.ფ.-მ კითხვაზე „სუვენირი რომ აკლდა ქალმა შენიშნა თუ მისმა მეუღლემ, პოლიციელებმა ხომ არ შენიშნეს?“- განაცხადა, რომ „პოლიციელებმა საიდან იცოდნენ მას რა სუვენირი ჰქონდა, თვითონ დაზარალებულმა თქვა, რომელმა შენიშნა არ ვიცი“. რაც შეეხება მსჯავრდებულს, მან თავიდანვე უარყო აღნიშნულ ნივთთან რაიმე კავშირი და განაცხადა, რომ თიხის სუვენირი პირველად

სასამართლო პროცესზე ნახა და შემთხვევის ადგილზე, რომ ყოფილიყო უფრო ღირებულ ნივთს წამოიღება და არა დაზიანებულ თიხის სუვენირს.

სისხლის სამართლის საქმეზე გამოკვლეული მტკიცებულებებიდან, მსჯავრდებულ გ.კ.-ზე, როგორც დანაშაულის ჩამდენ პირზე პირდაპირ მიუთითებს მხოლოდ დაზარალებული მ.თ., სხვა მოწმეებს მსჯავრდებულის შემთხვევის ადგილზე არ უნახავთ და მხოლოდ ნაამბობს გადმოსცემენ.

პალატა აანალიზებს დაზარალებულ მ.თ.-ს სასამართლოსთვის მიცემულ ჩვენებას და მიიჩნევს, რომ მისი წინააღმდეგობრივი ხასიათიდან გამომდინარე ის, როგორც უტყუარი მტკიცებულება გამამტყუნებელ განაჩენს საფუძვლად ვერ დაედება. პირველი ინსტანციის სასამართლოში დაზარალებულმა განმარტა, რომ თავდამსხმელებიდან ერთი შედარებით მაღალი იყო, ხოლო მეორე დაბალი, რომელსაც „კაპიშონი“ ეხურა. ორივეს ნიღბები ეკეთათ სახეზე და ამიტომ არ შეეძლო მათი სახით ამოცნობა. შეკითხვაზე - „ გ.კ. ხომ არ ამოიცნო იმიტომ, რომ მასთან ძალღიმივიდა სახლში, ან სუვენირი მისი სახლიდან იყო ამოღებული, ან ხმით“ - განაცხადა, რომ „ დიახ ამის საფუძველზე ვამბობ, ძალიან მაგასთან მივიდა, სუვენირიც მაგასთან ამოიღეს და ხმითაც“ გარდა ამისა, დაზარალებული ჩვენებაში მიუთითებს, რომ დაინახა როგორი იარაღი ეკავა ხელში მაღალ პიროვნებას, თუმცა იმავე ჩვენებაში განმარტავს, არც საძინებელ ოთახში, სადაც ის თავის მეუღლესთან ერთად იმყოფებოდა, არც აივანზე შუქი არ ენთო და არც სხვა მხრიდან შემოდიოდა ოთახში სინათლე, ხოლო თავდამსხმელებს ჰქონდათ თუ არა ფანარი არ შეუნიშნავს. დაზარალებულმა დაცვის მხარის შეკითხვაზე: „სიბნელეში ცარიელი რკინის ლულა რომ მოედოთ შუბლზე თუ გაარჩევდითო“ ფაქტიურად პირდაპირ პასუხს თავი აარიდა და უპასუხა: „ დავინახე თეთრი იარაღი და ნიღბები“

პალატა ყურადღებას ამახვილებს საქმეში არსებულ კიდევ ერთ ფაქტობრივ გარემოებაზე. დაზარალებულმა მ.თ.-მ, როგორც გამოძიებას, ისე სასამართლოს უჩვენა, რომ მომხდარი ფაქტის შემდეგ შეხვდა თავდამსხმელთაგან „პატარას“, კერძოდ ვ.ტ.-ს დედას, რომელმაც უთხრა, რომ მის სახლში სულ სხვა სამი პიროვნება იყო შესული და მისი შვილი მასთან ნამყოფი არ იყო. საქმის მასალებიდან არ ჩანს ასეთი ჩვენების საფუძველზე თუ რა საგამოძიები მოქმედებები იქნა გატარებული ყაჩაღობაში მონაწილე მეორე პირის დასადგენად, მაშინ როდესაც დაქტილოსკოპიური ექსპერტიზის დასკვნით შემთხვევის ადგილზე ამოღებული თითის კვალის ნიმუში არ დაემთხვა მსჯავრდებულის თითის კვალის ნიმუშს. თუმცა საქმეში მოთავსებულია 2011 წლის 15 მარტის ვ.ტ.-ს მოწმის სახით დაკითხვის ოქმი, რომელიც შეეხება სოფელ ველისციხეში ვინმე მ.ყ.-ს ბინის გაქურდვის ფაქტს, რომელსაც არანაირი შემხებლობა არ აქვს მ.თ.-ს დალაჩალების ფაქტთან.

პირველი ინსტანციის სასამართლოში, მოწმე გ.კ.-მ განმარტა, რომ შემთხვევის დღეს მისი შვილი-გ.კ. - ღამით სახლიდან არ გასულა. მათ მის სტუმართან - ბ.ტ.-სთან - ერთად ერთ ოთახში ეძინათ. ღამით რამდენჯერმე ადგა და ნახა, რომ მისი შვილიც იქ იყო.

სასამართლოს ანალოგიური ჩვენება მისცა მოწმე ბ.ტ.-მაც, რომელიც შემთხვევის დღეს გ.კ.-თან სტუმრად იმყოფებოდა.

პირველი ინსტანციის სასამართლოში მოწმეებმა მ. და ნ.ხ.-ებმა განმარტეს, რომ უფროსი გ.კ.-სგან იციან, რომ შემთხვევის დღეს მსჯავრდებულის სახლიდან არ გასულა და ხაზი გაუსვებს იმ გარემოებას, რომ ღამით რაიონში ძლიერი წვიმა მოვიდა, ხოლო გ.კ.-ს ტანსაცმელი მშრალი იყო.

მსჯავრდებულმა გ.კ.-მ სააპელაციო სასამართლოში მხარი დაუჭირა თავის სააპელაციო საჩივარს და საბოლოო სიტყვაში განაცხადა, რომ ცეცხლსასროლო იარაღი, რომელიც მისი სახლიდან ამოიღეს მას ეკუთვნის, მაგრამ უარყო მ.თ.-ს დაყაჩაღებაში მონაწილეობა და ცეცხლსასროლო იარაღის ტარების ფაქტი.

პალატამ გაანალიზა სისხლის სამართლის საქმეში არსებული და გამოკვლეული მტკიცებულებები და მიიჩნევს, რომ საქმეში არ არსებობს ერთმანეთთან შეთანხმებული, უტყუარი და დამაჯერებელი მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომელიც გონივრულ ეჭვს მიღმა დაადასტურებდა გ.კ.-ს ბრალეულობას საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით და სსკ-ის 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში.

საქართველოს სსკ-ის მე-13 მუხლის თანახმად, გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ეფუძნებოდეს მხოლოდ ერთმანეთთან შეთანხმებულ, აშკარა და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობას, რომელიც გონივრულ ეჭვს მიღმა ადასტურებს პირის ბრალეულობას. სსკ-ის 259-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს განაჩენი დასაბუთებულია, თუ ის ემყარება სასამართლო განხილვის დროს გამოკვლეულ, ეჭვის გამომრიცხავ მტკიცებულებათა ერთობლიობას. განაჩენში ჩამოყალიბებული ყველა დასკვნა და გადაწყვეტილება დასაბუთებული უნდა იყოს. ამასთან ერთად, სსკ-ის მე-5 მუხლის თანახმად მტკიცებულების შეფასების დროს წარმოშობილი ეჭვი, რომელიც არ დასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს მსჯავრდებულის სასარგებლოდ.

რაც შეეხება გ.კ.-ს ბრალდებას, საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული მსჯავრდების ნაწილში, საქმეში არსებობს მტკიცებულებათა ერთობლიობათვით მსჯავრდებულის ჩვენება, მოწმეების გ.კ.-სა და ბ.ტ.-ს ჩვენებები, ბალისტიკური ექსპერტიზის დასკვნა -რის საფუძველზეც დასტურდება, რომ მსჯავრდებულმა გ.კ.-მ ჩაიდინა ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის უკანონო შექმნა, შენახვა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატა მიიჩნევს, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენში ცვლილება უნდა იქნეს შეტანილი. მსჯავრდებული გ.კ. უნდა გამართლდეს საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით და სსკ-ის 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით წარდგენილ ბრალდებებში, ხოლო სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული მსჯავრდების ნაწილში განაჩენი დარჩეს უცვლელი.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:

პალატამ იხელმძღვანელა რა საქართველოს სსკ-ის 298-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, 298-ე მუხლის მე-2 ნაწილით,

დ ა ა დ გ ი ნ ა :

1. დაკმყოფილდეს მსჯავრდებულ გ.კ.-ს სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა;
2. გ.კ. უდანაშაულოდ იქნეს ცნობილი და გამართლდეს საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით და სსკ-ის 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული მსჯავრდების ნაწილში;
3. გ.კ. ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი ნაწილით და სასაჯელის სახედ განესაზღვროს ჯარიმა 2000(ორი ათასი) ლარის ოდენობით. მჯავრდებულ გ.კ.-ს პატიმრობაში ყოფნის ვადის - 2012 წლის 12 მაისიდან- 2013 წლის 29 მარტამდე - გათვალისწინებით სსკ-ის 62-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე გაუნახევრდეს დანიშნული სასაჯელი და საბოლოოდ განესაზღვროს ჯარიმა 1000 (ათასი) ლარის ოდენობით.
4. გ.კ. დაუყონებლივ განთავისუფლდეს სასამართლო სხდომის დარბაზიდან.

5. ნივთმტკიცება - გ.კ.-ს ბინის ჩხრეკისას ამოღებული, კუსტარული წესით დამზადებული 5,6 მმ-ის კალიბრის რევოლვერი და ამავე კალიბრის 3(სამი) ვაზნა, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, შემდგომი რეაგირებისათვის, ჩაბარდეს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის სამსახურს; შემთხვევის ადგილის დათვალიერებისას ამოღებული ზეწარი და ბალიშის პირი, ასევე გ.კ.-ს ბინის ჩხრეკისას ამოღებული თიხის ნაკეთობა საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ დაუბრუნდეს დაზარალებულ მ.თ.-ს. გ.კ.-ს ბინის ჩხრეკისას ამოღებული ჯინსის შარვალი საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ დაუბრუნდეს გ.კ.-ს ოჯახს; შემთხვევის ადგილის დათვალიერებისას ამოღებული წებოვანი ლენტები, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ განადგურდეს.

6. განაჩენი კანონიერ ძალაშია გამოცხადებისთანავე და ექვემდებარება დაუყოვნებლივ აღსრულებას;

7. განაჩენი შეიძლება გასაჩივრდეს საკასაციო წესით მისი გამოცხადებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში თბილისის სააპელაციო სასამართლოს მეშვეობით.

თავმჯდომარე

მოსამართლეები:

კ. მაჭავარიანი

გ. კახეთელიძე

მ. ივანიძე